



კარგი მიზეზები, თუ რატომ უნდა ავიცრათ Covid-19-ის წინააღმდეგ

რატომ უნდა ავიცრათ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ? არსებობს ბევრი მიზეზი. კოვიდ-19-ვაქცინაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რათა დავამარცხოთ პანდემია. ის ავსებს სხვა ზომებს, როგორცაა ჰიგიენის და ქცევის წესების დაცვა. ვაქცინა იცავს დაავადებისგან და განსაკუთრებით მისი მძიმე მიმდინარეობისგან. რაც მეტი ადამიანი აიცრება შვეიცარიაში, მით ნაკლებად არსებობს სხვა ზომების საჭიროება.

❤️ თავდაცვა დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან

კოვიდ-19 განსაკუთრებით საშიშია ასაკიანი და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებისთვის. ახალგაზრდა და ჯანმრთელ ადამიანებს კორონავირუსის ინფექციის დროს ხშირად მსუბუქი სიმპტომები აქვთ ან დაავადება უსიმპტომოდ გადააქვთ. მაგრამ მათთანაც შეიძლება დაავადებას რთული სახე მიეცეს. ვაქცინაციით მათ შეუძლიათ თავი დაიციონ კოვიდ-19-ის დაავადებისგან, განსაკუთრებით კი მისი რთული ფორმებისგან. ვაქცინირებულ ადამიანებს საავადმყოფოში წასვლა ბევრად უფრო იშვიათად უწევთ, ვიდრე არავაქცინირებულებს. შვეიცარიაში გამოყენებული ვაქცინა საიმედოა და კოვიდ დაავადებისგან კარგ დაცვას გვთავაზობს. იმისათვის, რომ ვაქცინა შვეიცარიაში დაშვებული და რეკომენდირებული იყოს, მის სარგებელმა რისკები მნიშვნელოვნად უნდა გადაწონოს. ვაქცინასთან დაკავშირებული აქამდე არსებული გამოცდილებები ამას ნათლად აჩვენებენ.

❤️ კოვიდ-19-ის შედეგების თავიდან აცილება

ინფექციის შემდეგ შესაძლოა თავი იჩინოს ხანგრძლივად მიმდინარე ჯანმრთელობის პრობლემებმა (Long Covid) – როგორცაა, მაგალითად, სუნთქვის უკმარისობა დამლელი საქმიანობის ან დაღლილობის დროს. ეს შესაძლოა მოხდეს ასევე ახალგაზრდა, ჯანმრთელ ადამიანებთან. ვაქცინაციის შემთხვევაში კი დაავადების და შესაძლო ხანგრძლივი შედეგების რისკი მცირდება. ამისგან განსხვავებით, შვეიცარიაში გამოყენებული კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შემთხვევაში ნაკლებად იჩენს თავს მძიმე გვერდითი მოვლენები. მოგვიანებით გართულებები მოსალოდნელი არ არის.

❤️ გახდი იმუნური უსაფრთხო მეთოდის მეშვეობით

ინფიცირებით და დაავადების გადატანით იმუნიტეტის გამომუშავება არ არის რეკომენდირებული. ამან შეიძლება ავადმყოფობა გაართულოს და ხანგრძლივი მკურნალობა გახდეს საჭირო. კოვიდ-19-ის აცრით კი შესაძლებელია კონტროლირებადი, უკეთესი და ხანგრძლივი დაცვა რისკების გარეშე. კვლევის თანამედროვე შედეგების მიხედვით ვაქცინაცია ადამიანს იცავს მინიმუმ თორმეტი თვის მანძილზე. ამჟამად არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ შემდგომში მოსახლეობაში შემცირდება დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან დაცვა. ის პირებიც, რომლებსაც ტესტით კორონავირუსი დაუდასტურდათ შეძლებისდაგვარად ერთხელ უნდა აიცრან ინფექციიდან სამ თვეში. ამგვარად ისინი უკეთ და დიდი დროით დაცული არიან ახალი დაინფიცირებისგან.

❤️ დაეხმაროთ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებულ ადამიანებს

პანდემიის გამო ჯანდაცვის პერსონალი და ჯანდაცვის სისტემა დღითიდღე მეტად იტვირთება. ვაქცინით თავდაცვის შემთხვევაში თქვენ აღარ დაჭირდებით მკურნალობა მძიმე კოვიდ-19 ინფექციის წინააღმდეგ. ამგვარად თქვენ განტვირთვაში ეხმარებით ჯანდაცვის სისტემას. სხვა დაავადებების და სასწრაფო სამედიცინო დახმარების შემთხვევების მკურნალობა კვლავაც შესაძლებელი გახდება.

❤️ დაეიცვათ ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანები

ვაქცინაციის შემდეგ იმის საფრთხე, რომ თქვენ დაინფიცირდებით და სხვებს გადასცემთ ინფექციას, მნიშვნელოვნად მცირდება. მაშინაც კი, თუკი აცრა გადატანას მოლიანად არ აბრკოლებს, თქვენ შეგიძლიათ დაიცვათ თქვენს გარშემო მყოფი ის ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან. მაგალითად სუსტი იმუნური სისტემის მქონე პირები, რომლებზეც აცრა კარგად არ მოქმედებს. ვაქცინაციით თქვენ ასევე იცავთ ადამიანებს, რომლებიც სამედიცინო მიზეზებიდან გამომდინარე ვერ იცრებიან ისევე როგორც ზავშევს, რომელთა ვაქცინაცია ჯერჯერობით შეუძლებელია. რაც მეტი ადამიანი იქნება აცრილი, მით ნაკლები ადამიანი დაავადდება კოვიდ-19-ით და გადასდებს მას სხვა ადამიანებს.

❤️ ფსიქიკური ჯანმრთელობის გაძლიერება

ამ პანდემიაში კორონავირუსის გავრცელება გვიმცირებს გარშემო მყოფ ადამიანებთან კონტაქტის შესაძლებლობას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანის კეთილდღეობაზე და ხელი შეუწყოს ან გაძლიეროს ფსიქიკური დაავადებების განვითარება. კოვიდ-19-ის ვაქცინით თავის დაცვას შეუძლია შეამციროს შიშის გრძნობა და ის საშუალებას მოგვცემს, დამაბულობის გარეშე შევიდეთ სხვა ადამიანებთან კონტაქტში. ამასთან ვაქცინაცია წარმოადგენს სოლიდარობის აქტს ჩვენი გარემომცველი ადამიანების მიმართ.

❤️ პანდემიის გავლენის დამარცხება

თუკი კოვიდ-19-ით ნაკლები ადამიანები დაავადდებიან, ადამიანები ნორმალურ ყოველდღიურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან. ვაქცინაცია ყველაზე ეფექტური საშუალებაა, რომელიც ჰიგიენისა და ქცევის წესებთან ერთად შეძლებს პანდემიის ლოკალიზებას და ადამიანებს უბრუნველ და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნებს. რაც მეტი ადამიანი აიცრება შვეიცარიაში, მით უფრო მალე იქნება შესაძლებელი სხვა ზომებზე უარის თქმა. აცრით თქვენ შეაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი თქვენი პირადი ჯანმრთელობის და სხვების ჯანმრთელობის საქმეში შვეიცარიაში, ევროპასა და მსოფლიოში.